ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4755021

ნომერი: AR1717319

თარიღი : 13.11.2019

გაცემის თარიღი : 18.11.2019

გაცნობის თარიღი : 19.11.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი დიდი დიღომი ფარნავაზის ქუჩა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონა ლაგურაშვილი პ/ნ 01014003799
- თბილისი ს.დოდაშვილის ქ. N 40

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : საინჟინრო ნაგებობები და კომუნალური ობიექტები კავშირგაბმულობის ანძა/ქსელი

განმარტებით ბარათში არ არის აღწერილი ობიექტი (არქიტექტურულ გეგმარებითი თვალსაზრისით). ვერ მოწმდება მოშენებისა და საერთო ფართის ველში მითითებული მონაცემები, ვინაიდან საერთოდ არ არის წარმოდგენილი ობიექტის არქიტექტურული პროექტი. ნაცვლად ფოტოსურათებისა, წარმოდგენილია საკადასტრო გეგმასა და აეროფოტოგადაღებაზე მონიშნული არეალი, რომლის მიხედვითაც ობიექტი განთავსებულია 01.10.06.011.076 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, თუმცა განცხადებით ინტერაქტიულ რუკაზე ადგილმდებარეობა განსაზღვრულია სხვაგან და ელექტროგადამცემი ქსელის ანძაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური განმარტავს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2014 წლის 12 დეკემბრის#17-51 დადგენილების მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, „თუ განმცხადებელი სამსახურს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, სამსახური განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენისათვის“ და „თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული. სამსახური უფლებამოსილია განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ ცალკე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოსცეს.“

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

1. დაევალოს განმცხადებელს 10 დღის ვადაში განმარტებით ბარათში აღწეროს ობიექტი, ინტერაქტიულ რუკაზე განსაზღვროს ობიექტის ზუსტი ადგილმდებარეობა და დამატებით წარმოადგინოს:
ა) სალეგალიზებოდ წარმოდგენილი ობიექტის მშენებლობის 2007 წლის 01 იანვრამდე დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) სალეგალიზებოდ წარმოდგენილი ობიექტის ფოტოსურათები პანორამული ხედებით (ფოტოგადაღების თარიღის მითითებით);
გ) ობიექტის არქიტექტურული პროექტი (გეგმა, ფასადები, ჭრილები (PDF/CAD ფორმატში));
დ) განმცხადებლის კონა ლაგურაშვილის (პირადი №01014003799) ქაღალდზე შესრულებული განმარტებითი ბარათი, რომელზეც ხელმოწერის ნამდვილობა ნოტარიულად იქნება დამოწმებული და რომლითაც გაეცემა პასუხი კითხვას, შპს „ვიონი საქართველო“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204450584) მიერ, გაცემული მინდობილობა რატომაა შესრულებული ბილაინის ბლანკზე;

2. გაცნობებთ, რომ ხარვეზის გამოსწორებისათვის გეძლევათ 10 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზის შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი;

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.